ქ. დედოფლისწყარო

31.03.2011 წელი

ქ. დედოფლისწყარო,
კოსტავას ქ.№42
ტელ. 825625534
www.dedoplistskaro. ge

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბრძანება №49

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მოხელეების, სოფ. არხილოსკალოს ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტის შალვა ხორნაულის ატესტაციის ჩატარების თაობაზე გაფრთხილების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის, „საჯარო მოხელეთა ატესტაციის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის 5 თებერვლის №47 ბრძანებულების შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მოხელეებს და სოფ. არხილოსკალოს ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტს შალვა ხორნაულს ატესტაცია ჩაუტარდეს 2011 წლის 16-17 აპრილს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის შენობაში ბრძანების თანდართული დანართის შესაბამისად;
2. სატესტო თემატიკა განისაზღვროს შემდეგი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შესაბამისად:
   ა) საქართველოს კონსტიტუცია;
   ბ)საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ";
   გ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ";
   დ) საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ";
   ე) საკრებულოს რეგლამენტი;
   ვ) გამგეობის დებულება;
   ზ)ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
   თ) ზოგადი უნარები;

3. ატესტაციაზე არასაპატიო მიზეზით მოხელის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით იგი იღებს შეფასებას „არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას“ და განთავისუფლდება სამსახურიდან.
4. ატესტაციის პროცედურებსა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით მოხელეს შესაძლებლობა ექნება მიმართოს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საპრეტენზიო კომისიას შედეგების გამოცხადებიდან არა უგვიანეს 2 დღეში.
5. ბრძანება ძალაში შევიდეს საჯაროდ გამოცხდებისთანავე.
6. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, ჰამლეტ გონაშვილის ქ.№2) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი

დედოფლისწყაროს
მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის 2011 წლის
31 მარტის №49 ბრძანების
დანართი

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთათვის ატესტაციის ჩატარების გრაფიკი

№	სამსახურის დასახელება	რეგისტრაციის დრო	ატესტაციის ჩატარების დრო	ატესტაციის ფორმა
1	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	16 აპრილი 10^{45} საათი	16 აპრილი 11 საათი	ტესტირება
2	სოფ. არხილოსკალოს ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტი შალვა ხორნაული, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	17 აპრილი 10^{45} საათი	17 აპრილი 11 საათი	გასაუბრება

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი